




დანართი IV: საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიში

2024 წლის 9 ივლისს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდსა (იხ. ფოტო 1) და Facebook გვერდზე (იხ. ფოტო 2) გამოქვეყნდა თბილისის აგლომერაციისთვის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2024-2026 წლების გეგმის პროექტი (შემდეგში - პროექტი) საჯარო კონსულტაციებისთვის. გეგმის პროექტი ასევე გამოქვეყნდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე (იხ. ფოტო 3). ნებისმიერ დაინტერესებულ პირს 2024 წლის 7 აგვისტოს ჩათვლით შეეძლო პროექტთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენა ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: lasha.akhalaia@mepa.gov.ge.




ფოტო 1 - განცხადება საჯარო კონსულტაციების დაწყების შესახებ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე

ფოტო 2 - განცხადება საჯარო კონსულტაციების დაწყების შესახებ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის Facebook გვერდზე



ფოტო 3 - განცხადება საჯარო კონსულტაციების დაწყების შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე

2024 წლის 24 ივლისს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდსა (იხ. ფოტო 4) და Facebook გვერდზე (იხ. ფოტო 5) გამოქვეყნდა ინფორმაცია პროექტის საჯარო განხილვის ღონისძიებასთან დაკავშირებით. საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია პროექტთან ერთად ასევე გაეგზავნა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის სიახლეთა 5 000-მდე გამომწერს.



ფოტო 4 - განცხადება საჯარო განხილვის შესახებ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე

ფოტო 5 - განცხადება საჯარო განხილვის შესახებ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის Facebook გვერდზე

პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა 2023 წლის 2 აგვისტოს 15:00 საათზე ჰიბრიდულ ფორმატში: ფიზიკურად სასტუმროში „ჰოლიდეი ინ“ (მისამართი: ქ.თბილისი, 26 მაისის მოედანი N1), ხოლო ონლაინ ფორმატში ZOOM პლატფორმის საშუალებით. ინფორმაცია საჯარო განხილვის დროსთან, ადგილთან და ფორმატთან დაკავშირებით, ონლაინ შეხვედრის ლინკთან ერთად ხელმისაწვდომი იყო ყველა ზემოთხსენებულ განცხადებაში. ონლაინ მონაწილეთათვის უზრუნველყოფილი იყო ქართულ-ინგლისური თარგმანი. პროექტის საჯარო განხილვას დაესწრო 46 მონაწილე, მათ შორის 17 ფიზიკურად, ხოლო 29 ონლაინ რეჟიმში. მონაწილეთა შორის 15 იყო მამრობითი სქესის, ხოლო 32 - მდედრობითი სქესისა. შეხვედრა 2 საათზე მეტი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა და განხილულ იქნა პროექტის მიზნები, ამოცანები და აქტივობები.

აღნიშნული საჯარო კონსულტაციების შედეგად ელექტრონული ფოსტით 1 წერილი იქნა წარმოდგენილი, რომლებსაც ინდივიდუალურად გაეცა პასუხი. დამატებითი შენიშვნები ასევე გაუღერდა პროექტის საჯარო განხილვის ღონისძიებაზე. სულ წარმოდგენილ იქნა 19 შეკითხვა/რეკომენდაცია/კომენტარი, რომლებიც მოცემულია საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელ ანგარიშში. წარმოდგენილი შენიშვნები განიხილა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის ატმოსფერული ჰაერის სამმართველომ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად. წარმოდგენილი შენიშვნების შესაბამისად მომზადდა ცხრილი, რომელიც მოიცავს აღნიშნული შენიშვნების შინაარსს, მათი გათვალისწინების სტატუსს და შესაბამის არგუმენტაციას.

ცხრილი 1 - საჯარო კონსულტაციების ფარგლებში წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინების დონე

შემოსული შენიშვნების საერთო რაოდენობა	19
გათვალისწინებულია	7
ნაწილობრივ გათვალისწინებულია	3
არ არის გათვალისწინებული	9

დეტალურად, შემოსული შენიშვნების რეესტრი და საქრთველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს განმარტებები იხილეთ ცხრილში 2.

ცხრილი 2 - საჯარო კონსულტაციების ფარგლებში წარმოდგენილი შენიშვნების სია უკუკავშირის მითითებით

შენიშვნა	სტატუსი	კომენტარი
გავლენის ინდიკატორი 1.2-ის (თბილისის აგლომერაციაში ინდიკატორული მონიტორინგის პუნქტების რაოდენობა, სადაც NO2-ის საშუალო წლიური კონცენტრაცია არ აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმას) სამიზნე მაჩვენებელი (12) საბაზისო მაჩვენებელზე (14) ნაკლებია. რამდენად მიუთითებს აღნიშნული ინდიკატორი ჰაერის დაბინძურების პრობლემის გადაწყვეტის კუთხით პროგრესზე?!	გათვალისწინებულია	გავლენის ინდიკატორი 1.2 ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „თბილისის აგლომერაციაში ინდიკატორული მონიტორინგის პუნქტების რაოდენობა, სადაც NO2-ის საშუალო წლიური კონცენტრაცია აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმას“
1.1 ამოცანის შედეგის ინდიკატორებში მიზანშეწონილად მიგვაჩნია დამატოს ინდიკატორი, რომელიც გაზომავს პროგრესს მყარი ნაწილაკების ატმოსფერულ ჰაერში კონცენტრაციის შემცირების კუთხით	არ არის გათვალისწინებული	მყარი ნაწილაკების ატმოსფერულ ჰაერში კონცენტრაციის შემცირების კუთხით ინდიკატორი მოცემულია გეგმაში გავლენის 1.1 ინდიკატორის სახით.
მნიშვნელოვანია, ამოცანა 1.2.-ისთვის განისაზღვროს დამატებითი შედეგის ინდიკატორი 1.2.2. - თბილისის აგლომერაციაში ავტოტრანსპორტიდან აზოტის ოქსიდების (NOx) გაფრქვევების წლიური რაოდენობა. აუცილებელია, NO2-ის საშუალო წლიური კონცენტრაციის ცვლილებასთან დაკავშირებული მიზნები მიმართული იყოს პოზიტიური შედეგისკენ.	არ არის გათვალისწინებული	2020 წელს შემუშავებული ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების პროგნოზირების ანგარიშის მიხედვით 2020-2030 წლებში სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის ზრდის ფონზე მოსალოდნელია აზოტის დიოქსიდის ჯამური გაფრქვევების ზრდა. შესაბამისად, ინდიკატორი „აზოტის ოქსიდების (NOx) გაფრქვევების წლიური რაოდენობა“ ვერ გაზომავს პროგრესს ამოცანის შესრულების კუთხით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ გეგმაში არის გავლენის ინდიკატორი (1.2), რომელიც ზომავს პროგრესს საბაზისო დონესთან შედარებით ატმოსფერულ ჰაერში აზოტის დიოქსიდის კონცენტრაციის ცვლილების კუთხით.

<p>მნიშვნელოვანია, თბილისის მუნიციპალიტეტმა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით და საზოგადოების ჩართულობით, შეიმუშაოს დედაქალაქის მწვანე სივრცეების დაცვის, შენარჩუნებისა და განვითარების სტრატეგია და დეტალური სამოქმედო გეგმა. სტრატეგია და/ან სამოქმედო გეგმა აუცილებელია განიხილავდეს პარკებისა და სხვა მწვანე სივრცეების რეაბილიტაციის საუკეთესო გზებს, მათ შორის, ამ სივრცეების ჩაბეტონებისა და დეკორატიული-ფუნქციით დატვირთვის მავნე პრაქტიკის აღმოსაფხვრელად. მნიშვნელოვანია, ატმოსფერული ხარისხის მართვის გეგმაში განისაზღვროს მსხვილი მწვანე სივრცეები, რომელთა აღდგენაც ან რეაბილიტაციასთან დაკავშირებული სამუშაოების დაწყება 2024-2026 წლებშია დაგეგმილი. ერთ-ერთი ასეთი პრიორიტეტული არეალია დიდმის ჭალების ტერიტორია.</p>	<p>არ არის გათვალისწინებული</p>	<p>მწვანე სივრცეების დაცვის, შენარჩუნებისა და განვითარების სტრატეგია და დეტალური სამოქმედო გეგმის შემუშავების საკითხი სცილდება ატმოსფერული ჰაერის დაცვის მიზნებს და მიეკუთვნება ზოგადად გარემოს დაცვის კომპეტენციას. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების კუთხით უმნიშვნელოვანესია მოხდეს ამტვერებადი ღია გრუნტის დაფარვა, რომლის შესაბამისი ღონისძიებები შეტანილია ატმოსფერული ხარისხის მართვის გეგმაში.</p>
<p>მიზანშეწონილად მიგვაჩნია გეგმაში შევიდეს აქტივობა, რომლითაც შეიზღუდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ქ. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილებების შეტანა</p>	<p>არ არის გათვალისწინებული</p>	<p>ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გააჩნია კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება შეიტანოს ცვლილებები მიწათსარგებლობის გეგმაში. საკითხი სცილდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმის მანდატს.</p>
<p>მნიშვნელოვანია, თბილისის მუნიციპალიტეტმა სამშენებლო ნებართვების გაცემის დროს გაითვალისწინოს და უზრუნველყოს ცალკეული მასშტაბური პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასება. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, გაცემული სამშენებლო ნებართვების გარემოზე ზემოქმედების კუმულატიური შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება უარყოფითი ზემოქმედების მიტიგაციისთვის.</p>	<p>ნაწილობრივ გათვალისწინებულია</p>	<p>გეგმა მოიცავს აქტივობას (1.2.23), რომელიც გულისხმობს ქ. თბილისის ტერიტორიაზე განსახორციელებელი არქიტექტურული პროექტების ტრანსპორტზე ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებას. აღნიშნული მეთოდოლოგია ჩამოაყალიბებს ერთიან მიდგომას არქიტექტურული საპროექტო გადაწყვეტის არსებულ საკვლევ სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის მიმართ, რაც წარმოადგენს ქ. თბილისში მშენებლობის ნებართვების გაცემის წინაპირობას. ამასთან, სამშენებლო სექტორთან მიმართებით აღნიშნული საკითხი ყველაზე მეტად შეესაბამება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმაში ჰაერის დაბინძურების მხრივ იდენტიფიცირებულ გამოწვევებს. რაც შეეხება სამშენებლო სექტორიდან მყარი ნაწილაკების</p>

		<p>გაფრქვევებს, გეგმის 1.1 ამოცანა მოიცავს რიგ აქტივობებს არსებული რეგულაციებისა და აღსრულების სისტემის გაუმჯობესების კუთხით.</p>
<p>აუცილებელია, ჰაერის ხარისხის მართვის გეგმის ფარგლებში მშენებლობითა და დემონტაჟით გამოწვეული მტვრის ემისიების შემცირების არსებული რეგულაციების გაუმჯობესება მოიცავდეს მოსახლეობისა და ბუნებრივი გარემოს, მათ შორის ბეტონის შემრევი დანადგარებისგან, დაცვის მექანიზმებს.</p>	<p>გათვალისწინებულია</p>	<p>გეგმა მოიცავს აქტივობას (1.1.3), რომელიც გულისხმობს მშენებლობითა და დემონტაჟით გამოწვეული მტვრის ემისიების შემცირების არსებული რეგულაციების გაუმჯობესებას. სწორედ ამ აქტივობის ფარგლებში იქნება გათვალისწინებული წარმოდგენილი საკითხი.</p>
<p>გეგმის პროექტი გამოქვეყნდა 9 ივლისს, ხოლო 24 ივლისს გამოქვეყნდა ინფორმაცია საჯარო განხილვაზე და პროექტთან ერთად დაეგზავნა დაინტერესებულ პირებს. ვფიქრობთ, შენიშვნების წარმოდგენის ბოლო ვადა - 7 აგვისტო არასაკმარისია და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი გახანგრძლივება სექტემბრამდე</p>	<p>არ არის გათვალისწინებული</p>	<p>პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილების მიხედვით „როგორც ფიზიკური, ისე ელექტრონული საჯარო კონსულტაციების შემთხვევაში, წერილობითი შენიშვნების/კომენტარების/შემოთავაზებების/რეკომენდაციების მიღების საბოლოო ვადა საჯარო კონსულტაციების დოკუმენტების პაკეტის განთავსების/გაგზავნის/მიწოდების მომენტიდან 7 კალენდარულ დღეზე ნაკლები არ უნდა იყოს. თუმცა, რეკომენდებულია, მინიმალური ვადა შეადგენდეს 2 კვირას“. პროექტთან დაკავშირებით შენიშვნების მოსაწოდებლად მისი გამოქვეყნებიდან მოცემული იყო 30-დღიანი ვადა (9 ივლისი - 7 აგვისტო), ხოლო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გავრცელებიდან 2 კვირა (24 ივლისი - 7 აგვისტო), რითაც დაკმაყოფილებულია პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს მოთხოვნები.</p>
<p>მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჰაერის ხარისხის მონიტორინგი განხორციელდეს უფრო იაფიანი საშუალებით და „მოქალაქე მეცნიერების“ (Citizen Science) მიდგომით</p>	<p>ნაწილობრივ გათვალისწინებულია</p>	<p>გეგმაში მოცემული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის კუთხით იაფიანი ალტერნატივების გამოყენები მაგალითები ინდიკატორული გაზომვების სახით. აღნიშნული წარმოდგენს ჰაერის ხარისხის შეფასების კარგ საშუალებას განსაკუთრებით ისეთი პრობლემური მავნე ნივთიერების გასაზომად როგორცაა აზოტის დიოქსიდი.</p>

<p>მიზანშეწონილად მიგვაჩნია გეგმას დაემატოს აქტივობა, რომელიც უზრუნველყოფს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული გამწვანების ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობას</p>	<p>არ არის გათვალისწინებული</p>	<p>შემოთავაზება არ არის კონკრეტული. ამასთან, საკითხი სცილდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმის მანდატს</p>
<p>მიზანშეწონილად მიგვაჩნია გეგმას დაემატოს აქტივობა, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოებას ველობილიკებზე და შეზღუდავს ბილიკებზე მოტორიანი საშუალებების (მ.შ. სკუტერების) გადაადგილებას</p>	<p>არ არის გათვალისწინებული</p>	<p>საქართველოს კანონი „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კრძალავს ველობილიკებზე მექანიკური საშუალებების გადაადგილებას</p> <p>გარკვეული გამონაკლისების გარდა აკრძალულია მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (ავტომობილი, მოტოციკლი, მოპედი) მოძრაობა გვერდულაზე, ველოსიპედის მოძრაობის ზოლზე, ველობილიკზე, ტროტუარსა და ქვეითთა ბილიკზე. ველობილიკის არსებობისას ქვეითს უფლება აქვს, გადაადგილდეს მასზე, თუ მოძრაობის ინტენსივობა ამის საშუალებას იძლევა, თუმცა მან არ უნდა გაართულოს ველოსიპედებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებების (მაგ: ორბორბლიანი ელექტროთვითმგორავის) მოძრაობა, რომელთათვისაც ველობილიკზე მოძრაობა ნებადართულია.</p>
<p>მნიშვნელოვანია, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, თბილისის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით, უზრუნველყოს თბილისის ტრანსპორტის გენერალური გეგმისა და ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმის ჰარმონიზება. თბილისის ტრანსპორტის გეგმის მიხედვით 2024-2026 წლებში განსაზღვრული ღონისძიებები, რომლებიც მნიშვნელოვანია აისახოს თბილისის ჰაერის ხარისხის მართვის გეგმაში შემდეგია: <u>მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვასთან დაკავშირებული აქტივობები</u>: 2024 წელს უნდა შემუშავდეს თბილისის ქუჩების იერარქია, რათა განისაზღვროს სხვადასხვა ქუჩაზე სხვადასხვა სახის სიჩქარის შეზღუდვები. 2024-2025 წლებში გათვალისწინებულია სიჩქარის შეზღუდვების ამოქმედება. <u>ავტობუსის ზოლების ქსელის გაფართოება შემდეგ ქუჩებზე</u>: ბურჯანაძის ქუჩა, მინდელის ხიდი, რუსთაველის გამზირი, ბელიაშვილის ქუჩა, ვაჟა-ფშაველას გამზირი. აუცილებელია, 1.2.12 აქტივობისთვის -</p>	<p>ნაწილობრივ გათვალისწინებულია</p>	<p>თბილისის მდგრადი ურბანული მობილობის გეგმა სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტია, რომელშიც იდენტიფიცირებული აქტივობები გათვალისწინებულია 2040 წლამდე და რომელთა განხორციელება დამოკიდებულია შესაბამისი ფინანსური რესურსების მოძიებაზე. თბილისის აგლომერაციის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმა ინდიკატორებზე დაფუძნებული 3-წლიანი პოლიტიკის დოკუმენტია, რომელიც ნაწილობრივ მოიცავს მდგრადი ურბანული მობილობის გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებს. ამასთან, ჰაერის ხარისხის მართვის გეგმა არ არის ტრანსპორტის გეგმა და არ არის აუცილებელი ტრანსპორტთან დაკავშირებული ყველა აქტივობა იყოს მასში ასახული, მითუმეტეს, ტრანსპორტთან დაკავშირებული აქტივობები ისედაც მოიცავს აღნიშნული გეგმის აქტივობების დაახლოებით 60%-ს.</p>

<p>ავტობუსების სავალი ზოლის ქსელის გაფართოება დაზუსტდეს მოსაწყობი სავალი ზოლების სიგრძე (ინდიკატორი 1.2.12.1). <u>გამზირებისა და უბნების რეაბილიტაციასთან დაკავშირებული აქტივობები: 2024-2026 წლებში უნდა რეაბილიტირდეს რუსთაველის გამზირი, თავისუფლების მოედანი, კოტეჯხაზის ქუჩა კი იქცეს საფეხმავლო ქუჩად, ასევე ამ პერიოდში განსაზღვრულია მარჯანიშვილის ქუჩის ველოუბნის პროექტის განხორციელება, და ქიაჩელის, სოლოლაკისა და ლონდონის პარკის სუპერბლოკების შექმნა.</u></p>		<p>თბილისის აგლომერაციის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმა მოიცავს აქტივობას ავტობუსების სავალი ზოლის ქსელის გაფართოების კუთხით (1.2.12). ამ ეტაპზე მიმდინარეობს სავალი ზოლების პროექტირების სამუშაოები, რის ფარგლებშიც უნდა დაზუსტდეს სწორედ თუ რამდენი კილომეტრი დაეთმობა აღნიშნულ ზოლს სულ მცირე 3 ქუჩაზე.</p> <p>რაც შეეხება, ქუჩების რეაბილიტაციის საკითხს, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი პროექტების განხორციელება შედეგად მოიტანს საავტომობილო მოძრაობის ოპტიმიზაციას, ინფრასტრუქტურულ პროექტებს თან ახლავს ჰაერში მყარი ნაწილაკების გაფრქვევების ზრდა და ამავდროულად საავტომობილო გზის გაფართოებამ შესაძლოა გამოიწვიოს სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის კიდევ უფრო ზრდა, რაც ასევე უარყოფითად მოქმედებს ჰაერის ხარისხზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა მიზანია გადაადგილების ალტერნატიული საშუალებების განვითარება მოცემულია გეგმაში (იხ. 1.2.14 და 1.2.16 აქტივობები).</p>
<p>თბილისის აგლომერაციის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმის ფარგლებში, დისტრიბუციისთვის განკუთვნილი და დიდი გაბარიტების მქონე ავტომანქანებისთვის (მ.შ. ბეტონმზიდ და ნავთობპროდუქტების გადამზიდავ ტრანსპორტს) დღეს არსებული გადაადგილების შეზღუდვის რეჟიმის გაფართოება წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების კუთხით.</p>	<p>არ არის გათვალისწინებული</p>	<p>აღნიშნული შეზღუდვა ამოქმედდა რამდენიმე თვის წინ. გასათვალისწინებელია, რომ პროცესში ჩართულია მრავალი მხარე და იგი მოიცავს არა მხოლოდ სატრანსპორტო ნაკადების მართვის საკითხს, არამედ პროდუქტის მიწოდების, უსაფრთხოებისა და ფასის კომპონენტებსაც. შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა საჭიროა მოხდეს შეზღუდვის შედეგებისა და პოტენციური გაფართოების შეფასება და მხოლოდ ამის საფუძველზე განისაზღვროს რამდენად ეფექტიანი იქნება მისი შემდგომი გაფართოება.</p>
<p>მნიშვნელოვანია, ნახშირბადზე გადასახადის თბილისისთვის შესაფერისი მოდელის შემუშავება და ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.</p>	<p>არ არის გათვალისწინებული</p>	<p>საკითხის უპირველესად განეკუთვნება კლიმატის ცვლილების შერბილების სფეროს, რომლისთვისაც ჰაერის ხარისხის მართვის გეგმისგან განცალკევებით შემუშავებულია</p>

		საქართველოს კლიმატის ცვლილებების 2030 წლის სტრატეგია და მისი განხორციელების 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა. მიზანშეწონილია შემოთავაზებული აქტივობის გათვალისწინების საკითხი განხილულ იქნეს აღნიშნული სტრატეგიის განხორციელების შემდეგი ფაზის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.
მნიშვნელოვანია, სამინისტრომ უზრუნველყოს თბილისში ჰაერის ხარისხის მონიტორინგის შესახებ ინფორმაციის დამუშავება და საჯარო ანგარიშგება, საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ინდიკატორების და სამიზნე მაჩვენებლების ჰაერის ხარისხის მართვის გეგმაში განსაზღვრის საშუალებით (მათ შორის, ჰაერის წელიწადეულის ვებგვერდზე (air.gov.ge) გამოქვეყნების საკითხის შედეგის ინდიკატორულ მაჩვენებელში ასახვის გზით).	გათვალისწინებულია	გეგმის გავლენის ინდიკატორის დადასტურების წყაროდ მითითებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალი - air.gov.ge და ატმოსფერული ჰაერის წელიწადეული, რაც გულისხმობს სწორედ იმას, რომ ჰაერის მონიტორინგის შედეგების საჯაროდ იქნება ხელმისაწვდომი.
აუცილებელია, თბილისის აგლომერაციის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმის მონიტორინგის ანგარიშების გასაჯაროება და შესაბამისი პასუხისმგებლობის გეგმაში ასახვა.	გათვალისწინებულია	სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასების თავში მითითებულია სამოქმედო გეგმის პროგრეს ანგარიშები და წლიური ანგარიშები ქვეყნდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე.
ქვეყანი შუქნიშნების სისტემაში ჰაერის რეალური მდგომარეობის გასათვალისწინებლად მოდულის ინტეგრირების პარალელურად, აუცილებელია, ისეთი სისტემის ორგანიზება, რომელიც მიღებული მონაცემების დამუშავებასა და ამ მონაცემების საჯარო ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალზე (air.gov.ge).	გათვალისწინებულია	ქვეყანი შუქნიშნების სისტემაში ინტეგრირებული აზოტის ოქსიდების კონცენტრაციის მონიტორინგის შედეგები იქნება საჯაროდ ხელმისაწვდომი ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალზე. შესაბამის აქტივობას (1.2.5) დადასტურების წყაროში დაემატა air.gov.ge.
აუცილებელია, 2025-2026 წლებში დაიგეგმოს გაფართოებული საინფორმაციო კამპანია (პირისპირ შეხვედრების ფორმატის გარდა) ჰაერის დაბინძურების რისკებისა და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ფართო და განსხვავებული სამიზნე აუდიტორიების მოცვის მიზნით.	გათვალისწინებულია	გეგმის 1.4 ამოცანა მოიცავს აქტივობებს, რომელიც მიმართულია როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტული სამიზნე ჯგუფების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებაზე. ცნობიერების ამაღლების აქტივობები აგრეთვე მოცემულია სხვა პოლიტიკის დოკუმენტებში (მ.შ. გარემოს დაცვის მოქმედებათა 2022-2026 წლების პროგრამაში).
მნიშვნელოვანია, ჰაერის ხარისხის მართვის გეგმით გათვალისწინებული კვლევები,	გათვალისწინებულია	შესაბამისი აქტივობების ინდიკატორებში დაემატა სიტყვა „გამოქვეყნებული“, ხოლო 1.3.5

<p>(კერძოდ აქტივობები: 1.2.7; 1.2.8; 1.2.9; 1.2.19; 1.2.25; 1.3.3; 1.3.4; 1.3.5) იყოს საჯარო. აქტივობის შედეგის ინდიკატორს დაემატოს ამ კვლევების გამოქვეყნების ვალდებულება შესაბამისი უწყების ოფიციალურ ვებ-გვერდზე, დადასტურების წყაროს კი დაემატოს შესაბამისი უწყების ვებ-გვერდის მისამართი.</p>		<p>აქტივობაზე დადასტურების წყაროებში დაემატა air.gov.ge</p>
--	--	---